**სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნის და გამოყენებიის რეფლექსია**

**წარდგენილი ციფრული რესურსის სათაური:** ,,სასარგებლო მწერი- ფუტკარი“

**რესურსის ვებ-მისამართი:** **https://mix.office.com/watch/1g168t7gixazh**

**რესურსი ემსახურება აღნიშნულ საგანმანათლებლო მიზნებს:**

**ქართულში მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- ტექსტის გამართულად წაკითხვა და სხვისი წაკითხულის გაგრძელება;
- ლექსიკის გამდიდრება ახალი სიტყვებით;
- საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა და აღქმა.

**ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- ამოიცნოს და გამოიყენოს სხვადასხვა ციფრული საშუალებები და მათზე საუბრისას სწორად გამოიყენოს ტერმინოლოგია .

**ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გადის შემდეგ შედეგებზე:**

**ქართული ენა და ლიტერატურა**

**ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.**

- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად სვამს შეკითხვებს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.

**ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.**

- სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს მითითებულ სიტყვას;
- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს;
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.

**ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები**

**ის ტექნ. I.1.** მოსწავლე ფლობს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ოპერაციებს.

**ციფრული რესურსის შერჩევა/გამოყენება დასახული საგანმანათლებლო მიზნისთვის განაპირობა** სამოდელო გაკვეთილმა ქართულ ენასა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ციფრული ობიექტი არის ინტერაქტიული და მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს გაკვეთილის მიზნების მიღწევის პროცესში.

ციფრული რესურსი ბავშვებს დაეხმარა გაწაფული/გამართული კითხვის განვითარებაში. პრეზენტაციაზე დადებული აუდიოჩანაწერის დახმარებით მოსწავლეებმა კითხვის დროს არამარტო მოუსმენს, არამედ, თვალიც მიადევნეს ტექსტს/ნაწერს და აჰყვნენ ჩემს ხმას. ამით კი,

მოსწავლეებმა განივითარეს ინტონაციით, გამომეტყველებით კითხვის, კითხვის ტემპის კონტროლისა და ფრაზებად კითხვის უნარი. ცნობილია, რომ თვალსაჩინოებებით პირველკლასელი მოსწავლე უფრო ადვილად იგებს მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობას. (როგორიცაა მაგ: ნესტარი, სკა, ფიჭა და ა.შ).

გარდა ამისა, ისტ-ის გამოყენება მეხმარება არამარტო ქართულ ენასა და ლიტერატურაში გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში, არამედ ის ხელს უწყობს თვით ისტ-თან დაკავშირებულ კომპეტენციების განვითარებასაც, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებელი ციფრული წიგნიერების განვითარებისთვის.

შემოთავაზებული რესურსი შექმნილია PowerPoint -ის პროგრამაში. ბოლო სლაიდებზე დამატებული კითხვები ქვიზის სახით შექმნილია Mix-ის ღილაკის საშუალებით და შემდეგაა ატვირთული მოცემულ მისამართზე. რესურსის ამ სახით გამოყენებამ უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური გახადა სასწავლო პროცესი, შინაარსი კი-ინტერაქტიული.

მოსწავლეებს ,,კლასის მართვის“ სისტემის გამოყენებით გავუზიარე ჩემი კომპიუტერის ეკრანი და ისე ვაჩვენე პრეზენტაცია მე-12 სლაიდამდე და წავუკითხე თავად, ხოლო შემდეგ კი, თავად მოსწავლეებს წავაკითხე წყვილებში. გაკვეთილი გავაგრძელე კითხვა-პასუხის რეჟიმში. ბავშვებს დავასახელებინე უცხო სიტყვები და დავუწერე დაფაზე და ამ სიტყვების გამოყენებით შევადგენინე წინადადებებიც.

იმის გამო, რომ, გამეგო რამდენად კარგად გაიგო თითოეულმა მოსწავლემ და აღიქვა საინფორმაციო ტექსტი, გადავუგზავნე (კლასის მართვის პროგრამის გამოყენებით) word-ის დოკუმენტში ჩაკოპირებული ლინკი. (მოსწავლეებს I სემესტრში ჰქონდათ შესწავლილი word-ში მუშაობის ელემენტარული უნარები და ამიტომ, არ შექმნიათ პრობლემა და დროულად ჩართეს მითითებული ბმული. კლასში მაქვს ინტერნეტი და ყველა ბავშვის კომპიუტერს აქვს წვდომა მასზე). ამის შემდეგ, მოსწავლეებს ვთხოვე, რომ მითითებული ბმულს კიდევ ერთხელ დაკვირვებოდნენ და ბოლოში ყურადღებით გაცნობოდნენ კითხვებს და სწორი პასუხები მოენიშნათ. (შევახსენე, რომ სწორი პასუხების შემთხვევაში ეკრანის მარჯვენა კუთხეში გამოჩნდებოდა მწვანე მართკუთხედი, ხოლო მცდარი პასუხის შემთხვევაში წითელი). მოსწავლეებს არ გაჭირვებიათ ტექნიკურად ამის შესრულება, იმიტომ, რომ მსგავსი რესურსი ადრეც მქონდა გამოყენებული. მოსწავლეეთა მუშაობას ვაკვირდებოდი მონიტორინგისა და კონტროლის ღილაკის საშუალებით და საჭიროებისამებრ ვაძლევდი მითითებებს.

ამ რესურსის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება შესაძლებელია იმავე და მოდიფიცირებული სახითაც. (იმავე სახით გამოყენება შესაძლებელია ქართულის გაკვეთილზე მე-2 კლასშიც). მოდიფიცირებისთვის უნდა ჩამოტვირთოს და დაემატოს სხვა მწერების შესახებ ინფორმაციაც და სურათებიც, შემდეგ მისი გამოყენება თავისუფლადაა შესაძლებელი ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მე-3 და მე-4 კლასებში.

მოკლედ, ამ რესუსების გამოყენებით მოსწავლეებმა ადვილად შეძლეს საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, უცხო სიტყვების გაგება და იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც ცოდნის ინდივიდუალურად შესამოწმებლად მქონდა შექმნილი Office Mix-ის პროგრამაში. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა კარგად გაართვა თავი დავალებას. (კითხვის ტემპის გასავარჯიშებლად და ტექსტის უკეთ გასააზრებლად რამდენიმე მოსწავლეს ვურჩიე, რომ კიდევ ენახათ სახლში და შემდეგ თავად გაესწორებინათ შეცდომები). მოსწავლეებს რომლებთაც გაუჩნდათ იმის სურვილი, რომ ცოდნოდათ ფუტკარზე, როგორც საასარგებლო მწერზე მეტი

ინფორმაცია გადავუგზავნე ლინკი (იხ. პრეზენტაციის ბოლო სლაიდზე). პრეზენტაციის ბოლო სლაიდზე ასევე მითითებული მაქვს ის წყაროები, საიდანაც მოვიძიე ანიმაციები და ვიდეო მასალა, ხოლო ტექსტზე კი ვიხელმძღვანელე G-PriEd-ის საკითხავი წიგნებიდან (კითხვის დონე– 1.3 ტექსტის ტიპი - საინფორმაციო-შემეცნებითი).